

მიმოხილვა

- დღეს მსოფლიო ბანკი საქართველოსთან თანამშრომლობის მე-20 წლისთავს აღნიშნავს, თანამშრომლობისა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაში.
- 1992 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკმა, როგორც განვითარების ერთ-ერთმა წამყვანმა პარტნიორმა შეღავათიანი კრედიტების და სესხების სახით სხვადასხვა სექტორში დააფინანსა 55 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 1.8 მილიარდ ა.შ.შ. დოლარზე მეტი შეადგინა.
- ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ეს თანამშრომლობა ცვალებადი ადგილობრივი თუ გლობალური მოვლენების კონტექსტში ვითარდებოდა. ის 90-იანი წლების დასაწყისში 10 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ღირებულების „ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელებით დაიწყო. პროექტის მიზანი იყო დახმარებოდა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მტკიცვეულად მოპოვების შემდგომ.

1994-2000

- 90-იანი წლებში მსოფლიო ბანკი მხარს უჭერდა მთავრობას პირველი თაობის რეფორმების გატარებაში ცენტრალური დაგეგმარების სისტემის ბაზრის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. შემდგომ წლებში მსოფლიო ბანკი ქვეყანას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში, ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობაში კერძო და საჯარო სექტორებში ფინანსური დისციპლინის გაუმჯობესებაში ეხმარებოდა. ამ პერიოდში მსოფლიო ბანკის დაფინანსება მიმართული იყო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, სასამართლო რეფორმის, დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის პროექტებზე.

2000-ი წლების დასაწყისი

- 2004 წლიდან მოყოლებული, ახალ მთავრობასთან თანამშრომლობის მთავარ ღერძს ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის სფეროები წარმოადგენდა, როგორც საჯარო სექტორის მართვა და სოციალური დაცვის ქსელები. ბანკმა, ასევე გამოყო ინვესტიციები სატრანსპორტო და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურისთვის, რითაც წახალისა კერძო სექტორის განვითარება და საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის გაძლიერებას შეუწყო ხელი.
- მსოფლიო ბანკი აგრძელებს საქართველოს საგზაო სექტორის მხარდაჭერას. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის და გარკვეული მეორადი და სოფლის

გზების ესოდენ აუცილებელი რეაბილიტაციის დააფინანსებამ რეგიონებში მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობა შექმნა, გააუმჯობესა მიმოსვლა და გააძლიერა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

2004-2008

- მსოფლიო ბანკმა ხელი შეუწყო საქართველოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას **განათლების** სექტორში ჩადებული ინვესტიციებით, რომელთა მეშვეობით განხორციელდა სასწავლო გეგმის რეფორმა და სკოლების დაფინანსება, უნივერსიტეტში მიღების ახალი გამჭირვალე საგამოცდო სისტემის დანერგვა და სკოლების რეაბილიტაცია პრიორიტეტულ რეგიონებში. გარდა ამისა, ბანკმა ასევე წვლილი შეიტანა თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაარსებაში.
- მსოფლიო ბანკის მიერ **ჯანდაცვის სექტორში** განხორციელებულმა ინვესტიციებმა ჯანდაცვის ობიექტების მოდერნიზაციას შეუწყო ხელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ღარიბი მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაზღვევაზე წვდომა უზრუნველყო. ბანკმა ასევე დახმარება გაუწია მთავრობას მიზნობრივი სოციალური დახმარების ახალი პროგრამის დანერგვაში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

2008-2011

- **2008 წლის კონფლიქტის შემდეგ** მსოფლიო ბანკი გაუძღვა გადაუდებელი საჭიროებების ერთობლივ შეფასებას და ევროკავშირთან ერთად, ბრიუსელში დონორთა კონფერენციის ორგანიზება ითავა. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის აღსადგენად მან 2010-11 წლებში ქვეყნისთვის გამოყოფილი სესხების რაოდენობა გაასამმაგა.
- ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით და სწრაფი რეაგირების პროცედურების გამოყენებით, 2008 წლის დეკემბრის დასაწყისისთვის **იძულებით გადაადგილებული პირებისთვის** აშენდა ახალი სახლები, სადაც ბევრ მათგანი დროებითი თავშესაფრებიდან ზამთრის დადგომამდე გადასახლდა.

2011-2012

- ბოლო პერიოდში ბანკი მთავრობის **რეგიონული განვითარების** ინიციატივებს კახეთისა და იმერეთის ინოვაციური პროექტებით უჭერს მხარს. ამ პროექტების მეშვეობით სახელმწიფო ინვესტიციებს რეგიონებში სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებაზე წარმართავს.

- ბანკი აგრძელებს საქართველოსთვის **საბიუჯეტო დახმარების** გაწევას, რითაც მხარს უჭერს მნიშვნელოვან რეფორმებს, მიმართულს საშუალოვადიან პერსპექტივაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის საფუძვლების გაძლიერებაზე და ამავე დროს სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

- გარდა ამისა, **საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია**, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, გააგრძელებს კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერას ინვესტიციების და საკონსულტაციო პროექტების მეშვეობით. გლობალური ფინანსური კრიზისის საპასუხოდ ფინანსურ სექტორში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციების შემდეგ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ამჟამად იმ სფეროებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებშიც საქართველოს უპირატესობები გააჩნია, მათ შორის არის ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა.

ანალიტიკურ და საკონსულტაციო მომსახურება

- კრედიტების გაცემასთან ერთად, მსოფლიო ბანკის ჯგუფი მთავრობას მრავალფეროვან **ანალიტიკურ და საკონსულტაციო** მომსახურებას სთავაზობს .სხვადასხვა სფეროს განვითარების მიზნით სტრატეგიის დასასახად.
- ოცი წლის წინანდელი და დღევანდელი საქართველოს შედარებისას მსოფლიო ბანკი ამაცობს ქვეყნის მიერ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მიღწეულ წარმატებაში შეტანილი წვლილით. განვითარების პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით მსოფლიო ბანკი გააგრძელებს ქვეყნის განვითარების მხარდაჭერას ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროების დაფინანსებით, ასევე მთავრობისთვის მაღალკვალიფიცირებული, კონსტრუქციული წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული რჩევების გზით. ჩვენი საერთო მიზანი ხომ საქართველოს ყველა მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა.